საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

სტაროსელსკი დიმიტრი

დიმიტრი სტარასელსკი მეუღლესთან ეკატერინე გურამიშვილთან ერთად

სტაროსელსკი დიმიტრი (1832-1884), გენერალ-ლეიტენანტი. წარმოშობით პოლონელი. დაიბადა ჩერნიგოვის გუბერნიაში. 1848 წელს დაამთავრა პოლტავის კადეტთა კორპუსი. სხვადასხვა სამხედრო ნაწილში სამსახურის შემდეგ, 1857 წელს, კაპიტნის ჩინით, დაინიშნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, ბარონ ვრანგლერის ადიუტანტად და ჩარიცხეს ქართულ გრენადერთა პოლკში. ამის შემდეგ დ. სტაროსელსკის სამხედრო, თუ სამოქალაქო-ადმინისტრაციული, საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება კავკასიას, კავკასიელ მთიელთა ცხოვრებას. 1877 წელს იგი თბილისში ჩამოვიდა. 1878 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსად. ამ პოსტზე იგი გარდაცვალებამდე მუშაობდა.

დ. სტაროსელსკი ილია ჭავჭავაძის ქვისლი იყო – მას ცოლად ჰყავდა ოლღა გურამიშვილის და ეკატერინე. სტაროსელსკი თბილისის რჩეულ საზოგადოებაში ტრიალებდა, ახლოს იყო იაკობ გოგებაშვილთან, აკაკი წერეთელთან, იყო ილიას თანამოაზრე, ეხმარებოდა მას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნებაში. დ. სტაროსელსკის დიდი ღვაწლი მიუძღვის ასევე

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის გახსნაში; ზრუნავდა მოსახლეობის კეთილდღეობასა და სულიერ განათლებაზე. ყოველივე ამის გამო ქართული საზოგადოება დიდად აფასებდა დ. სტაროსელსკის.

დიმიტრისა და ეკატერინეს ქალიშვილი ნინო სტაროსელსკაია იყო იოსებ შალიკაშვილის ცოლი. მათი ვაჟის, დიმიტრის, შვილები არიან ცნობილი ამერიკელი გენერლები: ოთარ და ჯონ-მალხაზ შალიკაშვილები.

დ. სტაროსელსკი თბილისში გარდაიცვალა. მისმა გარდაცვალებამ აკაკი წერეთელს ათქმევინა: „შესანიშნავი ის არის, რომ ენით სხვას და გვარტომობით გარეშეს ისე ვიგლოვთ, როგორც საკუთარ ძმას და თვისსა.“